სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	სამტრედიის „ფენიქსი“ - ჩოხატაურის „ჯანი“		
გუნდი	ჩოხატაურის „ჯანი“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	10/11/2023	მატჩის ადგილი	სამტრედია
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ჩოხატაურის „ჯანი“		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მეთვალყურე - ტრიფონ ყეინაშვილი	დარღვევა	☐ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3: ფიქსირებული სანქციები, 1. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მიერ წინასწარ დანიშნულ მატჩში მონაწილე, რომელიმე და/ან ორივე, გუნდის თამაშზე არ გამოცხადება საპატიო მიზეზ(ებ)ის გარეშე და/ან სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 7.1 (მატჩზე 12-ზე ნაკლები მოთამაშით გამოცხადება) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა.	☐ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☒ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ : მატჩის ოქმი	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	14/11/2023	**განხილვის ადგილი**	
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☒ **კი (დისტანციური)** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მეთვალყურის, ტრიფონ ყეინაშვილის მატჩის ოქმი;		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის, ტრიფონ ყეინაშვილის მატჩის ოქმი;
2. სრკ-ს სამედიცინო სამსახურის უფროსის ნუცა შამათავას ელ.ფოსტა (14/11/2023)

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ჩოხატაურის „ჯანი“-ს წარმომადგენელმა, გიორგი ტრაპაიძემ გუნდის თამაშზე არგამოცხადების მიზეზად დაასახელა მოთამაშეთა არასაკმარისი რაოდენობა ტრავმების გამო.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 10/11/2023 სრკ-ს საშეჯიბრო სამსახურის მიერ დანიშნული იყო რეგიონალური ლიგის (დასავლეთი) VI ტურის მატჩი სამტრედიის „ფენიქსი“-სა და ჩოხატაურის „ჯანს“ შორის.
2. მატჩის მეთვალყურის, ტრიფონ ყეინაშვილის მატჩის ოქმის მიხედვით - მატჩი არ შედგა ჩოხსტაურის „ჯანი“-ს არ გამოცხადების გამო.
3. სრკ-ს სამედიცინო სამსახურის უფროსის უფროსის ნუცა შამათავას ელ.ფოსტის (14/11/2023) მიხედვით (ციტირება) – „მოგახსენებთ, რომ 09.10.2023-ში "რეგიონ ლიგა"-ს მენეჯერმა გია ღლონტმა, მომართა სამედიცინო სამსახურს ქ.ჩოხატაურის რაგბის გუნდის "ჯანი"-ს მოთამაშეების სამედიცინო დოკუმენტაციის განხილვის მიზნით. აღნიშნული დოკუმენტაციებში არსებობს როგორც სამედიცინო, ასევე ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ, მოთამაშეების დიაგნოზები არ ეფუძნება ამავე დიაგნოზის დასმისთვის აუცილებელ გამოკვლევებს. ასევე. ზოგიერთ მოთამაშეს დიაგნოზში აღენიშნებოდა ქრონიკული პრობლემა. ასევე, დოკუმენტაციის თარიღები იყო იდენტური, რაც ბადებს ეჭვს რომ მოთამაშეებმა ერთდროულად მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამედიცინო სამსახურმა არ მიიჩნია სარწმუნოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.“

მსჯელობა

სადისცპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის შემდეგ დადგენილად ცნო ჩოხატაურის „ჯანი“-ს მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3-ს ფიქსირებული სანქციები: 1-ლი პუნქტის დარღვევა, გაითვალისწინა სრკ-ს სამედიცინო სამსახურის 14/11/2023 წერილის (ელ. ფოსტა) შინაარსი და მიიღო

გადაწყვეტილება

1. ჩოხატაურის „ჯანს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 3(სამი) საცხრილო ქულა რეგიონალურ ლიგის საშეჯიბრო ცხრილში და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში ჩოხატაურის „ჯანს“ რეგიონალურ ლიგის საშეჯიბრო ცხრილში დამატებით დააკლდება 2(ორი) საცხრილო ქულა.
3. სამტრედიის „ფენიქსს“ ჩაეთვალოს მოგება, მიენიჭოს 5(ხუთი) საცრილო ქულა რეგიონალურ ლიგის საშეჯიბრო ცხრილში და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	15/11/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**